დანართი №2

დამტკიცებულია
სსიპ _ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
2013 წლის " 29.10 "
№135/01-01 ბრძანებით

ჟურნალ ,,თსუ მეცნიერების'' სარედაქციო კოლეგიის მუშაობის წესი

1. ჟურნალი ,,თსუ მეცნიერების'' სარედაქციო კოლეგია წარმოადგენს რა ჟურნალის ხელმძღვანელ ორგანოს:

   ა) განსაზღვრავს ჟურნალის პოლიტიკას და ძირითად მიმართულებებს;
   ბ) იბარებს ჟურნალის რედაქტორის ანგარიშს;
   გ) უზრუნველყოფენ ჟურნალის წარმოებაში და თემატიკის განსაზღვრაში თსუ-ს ყველა ფაკულტეტისა და მიმართულების ჩართულობას;
   დ) იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2. კოლეგიის სხდომა მოიწვევა კოლეგიის თავმჯდომარის მიერ (6 თვის განმავლობაში არანაკლებ 2-ჯერ).
3. კოლეგიის სხდომა უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება წევრთა ნახევარი მაინც.
4. კოლეგია გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით, ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
5. კოლეგიის სხდომებს თავმჯდომარეობს კოლეგიის თავმჯდომარე.
6. კოლეგიის თავმჯდომარის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობას ავტომატურად ასრულებს კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე ან თავმჯდომარის დავალებით კოლეგიის რომელიმე წევრი.
7. კოლეგიის მუშაობა სრულდება მისთვის მინიჭებული ფუნქციის ამოწურვისთანავე ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.